მე-20 საუკუნის ამერიკელი ქალი დრამატურგები

ანა კვინიკაძე

საკვანძო სიტყვები: *ამერიკული თეატრი, ქალი დრამატურგები, ფემინიზმი, პოლიტიკა, ქალთა უფლებები, ფემინისტური თეატრი, მელოდრამა, რეალიზმი, მოდერნიზმი, ექსპრესიონიზმი, იბსენი, ფემინისტური დრამა, გლასპელი, ო'ნილი, ქროზერსი, ტრედველი, გერსტენბერგი, ჰელმანი, ჰენსბერი, ენსლერი*

ამერიკის შეერთებულ შტატებში პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი მცირე თეატრების მოძრაობამ, რომელიც მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. მცირე თეატრების დამფუძნებლებს შორის იყვნენ: თეატრის პრაქტიკოსები, დრამატურგები, სცენოგრაფები, მსახიობები, პოეტები, ჟურნალისტები, სტუდენტები, რომლებიც შთაგონებულნი იყვნენ იმ პერიოდის ევროპული თეატრით. უფრო კონკრეტულად, ისინი დაინტერესებულები იყვნენ გერმანელი რეჟისორის, მაქს რეინჰარდტის იდეებით, გორდონ კრეგისა და ადოლფ აპიას სასცენო სივრცის ორგანიზების ტექნიკით, პარიზის „თავისუფალი თეატრის", ბერლინის „თავისუფალი სცენისა" და მოსკოვის „სამხატვრო თეატრის" დადგმის მეთოდებით. მცირე თეატრების მოძრაობა თეატრალური ხელოვნების ექსპერიმენტული ცენტრების შექმნას ემსახურებოდა, რომელთა საქმიანობაც იმ პერიოდში ამერიკაში გაბატონებული კომერციული თეატრების საპირწონე უნდა ყოფილიყო. საბოლოო ჯამში, მათმა ღირებულებებმა კომერციულ თეატრზე გავლენა მოახდინეს. ამ პროცესში, უმნიშვნელოვანესი ადგილი, ამერიკელ ქალ დრამატურგს - სუზან გლასპელს ეკავა, რომლის შემოქმედების განხილვითაც დავიწყებთ ჩვენს მოხსენებას.

მცირე თეატრების მოძრაობა ცნობილია მისი ერთ-ერთი ყველაზე ადრეული კომპანიით - „პროვინსთაუნის მსახიობები", რომლის დამფუძნებელი (თავის მეუღლესთან, ჯორჯ კუკთან ერთად) ამერიკელი დრამატურგი, ნოველისტი და მსახიობი სუზან გლასპელია, რომელიც აგრეთვე ცნობილია, როგორც ფემინისტი მწერალი და პირველი მნიშვნელოვანი ამერიკელი ქალი დრამატურგი.[1] აღნიშნული თეატრალური კომპანიის დაფუძნებას უწოდებენ „ყველაზე მნიშვნელოვან გარდამტეხ მომენტს ამერიკულ თეატრში",[2] ვინაიდან მათ მიერ წარმოდგენილმა სპექტაკლებმა ბიძგი მისცა პირველი ექსპერიმენტული დრამის შექმნას შეერთებულ შტატებში. ამერიკული დრამატურგიის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის, იუჯინ ო'ნილის კარიერაც სწორედ ამ ადგილას დაიწყო, მაშინ როდესაც „პროვინსთაუნის მსახიობებმა" მისი პირველი პიესა „აღმოსავლეთისკენ, კარდიფში/Bound East for Cardiff" წარმოადგინეს 1916 წელს, რაც ისტორიკოსების მიერ შეფასდა, როგორც ახალი ეპოქის დასაწყისი ამერიკულ თეატრში. იუჯინ ო'ნილთან ერთად, სუზან გლასპელი იყო ის დრამატურგი, რომელიც ავანგარდულ მოდერნისტულ პიესებს წერდა ექსპრესიონიზმის გავლენით, მაშინ როდესაც თითქმის მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე ამერიკულ თეატრში რეალიზმი მთავარი მიმდინარეობა იყო. სუზან გლასპელი არის ის ადამიანი, რომელმაც გზა გაუხსნა ო'ნილის დიდ ექსპერიმენტებს, რამაც შემდგომში პროფესიული ამერიკული დრამატურგია დაბადა. 1915-22 წლებში გლასპელის შემოქმედებით საქმიანობას მცირე თეატრში - „პროვინსთაუნის მსახიობები" გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკული თეატრის განვითარებისთვის. გარდა ამისა, მისი მოთხრობები და რომანები, ისევე როგორც მისი ყველა პიესა, იმ პერიოდის მთავარ ლიტერატურულ მიმდინარეობებთან და აქტიურ პოლიტიკურ მოვლე-

1 1931 წელს სუზან გლასპელმა პულიტცერის პრემია მიიღო დრამატურგიაში პიესისთვის - „ელისონის სახლი".
2 Carpentier, Susan Glaspell: New Directions in Critical Inquiry, 2006.

ნებთან იყო დაკავშირებული. იგი თანაბრად ინტერესდებოდა ქალისა და გენდერის ფემინისტური საკითხებითა და სოციალური სამართლიანობის, ომის, სოციალიზმისა და ეთიკის საკითხებით. მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელი ხშირად მის მეუღლესთან, ჯორჯ კუკთან ერთად გაისმის, იგი ცალსახად, ყველასგან დამოუკიდებლად გვევლინება მნიშვნელოვან და გავლენიან ფიგურად ამერიკულ თეატრსა და დრამაში. ამის კიდევ ერთი მაგალითია ისიც, რომ მისი პირველი პიესა „წვრილმანები/Trifles" (1916) მიჩნეულია, როგორც ამერიკული დრამატურგიის ერთ-ერთი საუკეთესო ერთმოქმედებიანი პიესა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ე.წ. „ფემინისტური დრამის" ადრეულ მაგალითს. სუზან გლასპელის როლზე ამერიკულ თეატრში, მის პიროვნებასა და შემოქმედებაზე საუბარს ბრიტანელი თეატრის რეჟისორის, სემ უოლტერსის ციტატით დავასრულებ: „1996 წელს ვგრძნობდი, რომ მართლაც მნიშვნელოვანი მწერალი აღმოვაჩინეთ. ახლა, როდესაც ამერიკელ სტუდენტებს ვესაუბრები, რასაც ხშირად ვაკეთებ, მე მათ „გლასპელის ტესტს" ვუტარებ, უბრალოდ ვეკითხები, ოდესმე სუზან გლასპელის შესახებ თუ სმენიათ რამე, და როგორც წესი, მათი პასუხი უარყოფითია. შემდეგ, მე ვახსენებ „წვრილმანებს" და ისინი ხვდებიან, რომ სადღაც ამ პიესის, რომელიც ხშირად ხვდება ერთმოქმედებიანი პიესების ანთოლოგიაში, შესახებ გაუგიათ. ასე რომ, საკუთარ ქვეყანაშიც კი მას სამარცხვინოდ უგულებელყოფენ. და როდესაც ჩემს კომპიუტერში ვწერ გვარს - გლასპელი, მას ყოველთვის სურს შეცვალოს იგი - Gaskell-ით".

მეორე მნიშვნელოვანი ამერიკელი ქალი დრამატურგი, რომელზეც მინდა გესაუბროთ - რეიჩელ ქროზერსია. თეატრის ისტორიკოსებმა იგი აღიარეს, როგორც „ყველაზე წარმატებული და ნაყოფიერი ქალი დრამატურგი, რომელიც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში წერდა".[3] სუზან გლასპელის მსგავსად, მისი პიესები ხშირად ფემინისტურ თემებსა და სოციალურ პრობლემებს ეხებოდა. პირველი აღიარება რეიჩელ ქროზერსმა 1906 წელს მიიღო, როდესაც მისი პიესა „სამი ჩვენგანი/The Three of Us" ნიუ-იორკის Madison Square Theatre-ში დაიდგა. სპექტაკლი 277-ჯერ აჩვენეს, რაც იმ პერიოდში დიდი წარმატების მაჩვენებელი იყო. ამ დროიდან მოყოლებული, 1940-იანი წლების ჩათვლით, მისი სახელი ბროდვეის თეატრალურ სამყაროში იყო წამყვანი. იგი ახერხებდა, რომ მისი პიესები ერთი მხრივ ყოფილიყო კომერციული და ამავდროულად არ დაეკარგა სოციალური სიმწვავე. მის შემოქმედებაში ხშირად იყო განხილული საზოგადოების მორალური პრობლემები, რაც ქალებზე აისახებოდა, მაგალითად: სექსუალური ქცევის ორმაგი სტანდარტები, ქორწინებისა და განქორწინების თემები, „თავისუფალი სიყვარული", პროსტიტუცია. მიუხედავად იმისა, რომ დღეს რეიჩელ ქროზერსის პიროვნებასა და მის შემოქმედებას ნაკლებად იცნობენ, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ამერიკულ თეატრში იგი ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი ქალი იყო, რომელიც არამხოლოდ წერდა თეატრისთვის ათწლეულების განმავლობაში, არამედ წარმატებული თეატრის რეჟისორი და მსახიობი იყო.

როდესაც მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ამერიკელ ქალ დრამატურგებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ სოფი ტრედველს, რომლის ცნობილი პიესა „მექანიკური/Machinal" (1928), ყველაზე ხშირად შედის დრამის ანთოლოგიებში, როგორც ექსპრესიონისტული ან მოდერნისტული პიესის მაგალითი. პიესა ქალთა თავისუფლების თემებს ეხება 1920-იან წლებში. თეატრის ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ სუზან გლასპელთან ერთად, სოფი ტრედველმა ამერიკული თეატრი მოძველებული მელოდრამიდან დიდი ევროპელი დრამატურგების ექსპერიმენტებამდე მიიყვანა, როგორებიც იყვნენ: იბსენი, სტრინდბერგი და შოუ. ელის გერსტენბერგი კიდევ ერთი საინტერესო სახელია ამერიკულ დრამატურგიაში. იგი, თავისი თანამედროვე ქალი დრამატურგების მსგავსად, ექსპერიმენტული, ფემინისტური დრამატურგიით იყო ცნობილი. გარდა ამისა, იგი იყო მსახიობი და მცირე თეატრების მოძრაობის აქტიური წევრი ჩიკაგოში. ელის გერსტენბერგის პიესების უმრავლესობაში ფემინისტური ტენდენციები იკვეთება - აკრიტიკებს რა იმ სოციალურ როლებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც იმ პერიოდში ქალებზე დისკრიმინაციულად ზემოქმედებდა.

შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებმა ამერიკელ-

3 Newlin, American Plays of the New Woman, 2000, p. 8.

მა ქალმა დრამატურგებმა, არამხოლოდ ფემინისტური დისკურსი შეიტანეს ამერიკულ თეატრში, არამედ დომინანტური მასკულინური პოლიტიკური წესრიგი შეცვალეს და შემდგომი თაობის ქალ დრამატურგებს გზა გაუხსნეს, რომლებმაც, თავიანთი წინამორბედების მსგავსად, ამერიკულ თეატრსა და დრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიეს. საუბარს ვაგრძელებთ ლილიან ჰელმანზე - მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ამერიკელ მწერალ ქალზე.

ლილიან ჰელმანი თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დრამატურგი იყო. იგი პირველი ქალი დრამატურგი აღმოჩნდა, რომელიც „ამერიკელი დრამატურგების კლუბის" წევრად აღიარეს. აღნიშნული კლუბი იქამდე მხოლოდ მამაკაცებისგან შედგებოდა. ამის მიზეზი კი გახდა, გასული საუკუნის 30-იან წლებში ჰელმანის მიერ დაწერილი ორი წარმოუდგენლად წარმატებული პიესა: „ბავშვების საათი/The Children's Hour" (1934) და „პატარა მელიები/The Little Foxes"[4] (1939). ლილიან ჰელმანის ადრეულმა, სოციალურ თემებზე ორიენტირებულმა პიესებმა ამერიკული თეატრის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი 1930-იან წლებში. ჰელმანის დრამატურგიაში შემოდის გენდერული იდენტობის თემები, როგორიც არის მამაკაცთა და ქალთა ჰომოსექსუალიზმი. მისმა პიესამ „ბავშვების საათი" გამოსვლისთანავე დიდი სკანდალი გამოიწვია და 29 წლის ავტორი საყოველთაოდ ცნობილი გახადა. ჰელმანმა აღნიშნული „ლესბოსური პიესა" იბსენის ფსიქოლოგიური რეალიზმის სტილში დაწერა, რომელიც საზოგადოებისთვის ნამდვილ გამოწვევად იქცა. პიესაც და სპექტაკლიც აიკრძალა, როგორც ჩიკაგოსა და ბოსტონში, ისევე ლონდონში. იგი პულიტცერის პრემიისთვისაც კი ზედმეტად სკანდალურად მიიჩნიეს, რამაც ნიუ-იორკის თეატრის კრიტიკოსების დიდი აღშფოთება გამოიწვია. მიუხედავად მთელი რიგი წინააღმდეგობებისა, აღნიშნული სპექტაკლი ბროდვეიზე ორი წლის მანძილზე დიდი წარმატებით გადიოდა. მოგვიანებით, ლილიან ჰელმანმა მოგონებების წერა დაიწყო და მათ შორის ყველაზე პოპულარული მისი ავტობიოგრაფია, მოგონებათა წიგნი - „დაუსრულებელი ქალი/An Unfinished Woman: A Memoir" გახდა, რომელიც მის სოციალურ, პოლიტიკურ და შემოქმედებით ცხოვრებას ეხებოდა. თეატრში უაღრესად წარმატებული სამი ათწლეულის შემდეგ ლილიან ჰელმანი მოგვიანებით შეფასდა, როგორც ადამიანი, რომლისაც შემოქმედებითი კუთხით დიდად ემართათ ამერიკის სამ უდიდეს დრამატურგს: ართურ მილერს, ტენესი უილიამსსა და ედვარდ ოლბის.

სანამ შემდეგ ავტორზე საუბარს გავაგრძელებდეთ, ძალიან მოკლედ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ქალი ავტორების აბსოლუტური უმრავლესობა იყო აქტივისტი, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით ნებისმიერი ფორმით გამოვლენილ დისკრიმინაციასა თუ ძალადობას ებრძოდნენ. ლორეინ ჰენსბერიც - პირველი აფროამერიკელი ქალი ავტორი, რომლის პიესაც ბროდვეიზე დაიდგა, მათ რიგებშია. იგი ყველაზე მეტად ცნობილია პიესით „ქიშმიშის მარცვალი მზეზე/A Raisin in the Sun" (1959), რომელიც დიდი რასობრივი სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის ფონზე ფერადკანიანი ამერიკელების ცხოვრებას ეხება ჩიკაგოში. ამ პიესამ ავტორს 29 წლის ასაკში ნიუ-იორკის დრამის კრიტიკოსების წრის პრემია მოუტანა და ყველაზე ცნობილ და მოწინავე აფრო-ამერიკელ ქალ დრამატურგად აქცია.[5] შავკანიანთა უფლებებისათვის მებრძოლი და მე-20 საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწერალი ჯეიმზ ბოლდუინი წერდა: „სპექტაკლში ყველაზე თვალშისაცემი ის იყო, რაც მან აფროამერიკელებისთვის გააკეთა. ცხოვრებაში არასდროს მინახავს ამდენი ფერადკანიანი ადამიანი თეატრში და ამის მიზეზი ის იყო, რომ აქამდე ამერიკული თეატრის ისტორიაში სცენაზე არასდროს ჩანდა ჭეშმარიტება ფერადკანიან ადამიანთა ცხოვრებაზე. ფერადკანიანები ყოველთვის უგულებელყოფდნენ თეატრს, რადგან თეატრი ყოველთვის უგულებელყოფდა მათ". ჰენსბერის წარმატებამ შემდგომში ბევრ ფერადკანიან მწერალსა თუ არტისტს გაუხსნა გზა არამხოლოდ თეატრში, არამედ ფართო ამერიკულ კულტურულ მეინსტრიმში. თავის შემოქმედებაში ლორეან ჰენსბერი სექსუალობისა და გენდერული იდენტობის თემებსაც იკვლევდა, რასობრივ დისკრიმინაციასთან და კოლონიალიზმთან ერთად და შეიძლება ითქვას, რომ მან მთელი თავისი

4 ლილიან ჰელმანის პიესა „პატარა მელიები" მე-20 საუკუნის დრამატურგიის კლასიკად ითვლება.
5 Carter, Commitment amid Complexity, 1980, p. 42.

ცხოვრება და შემოქმედება აქტივიზმს მიუძღვნა, სოციალური სამართლიანობის სურვილით.

მეოცე საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ამერიკულ თეატრსა და დრამატურგიაში კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი და წარმატებული სახელი გვხვდება, საკმარისია მარია აირინ ფორნესის, პაულა ვოგელის, სუზან-ლორი პარკსისა და ივ ენსლერის ხნესებაც. ამ მოკლე მიმოხილვაში კი ნათლად გამოჩნდა, რომ ამერიკული თეატრის ისტორიას მამაკაცებთან ერთად ქალებიც აქტიურად წერდნენ, რომელთა სახელებიც დღეს უსამართლოდ არის მივიწყებული, ამას კი ერთმნიშვნელოვნად გენდერის პრობლემასთან მივყავართ, რომელიც, როგორც ჩანს, არც ამერიკული თეატრალური კულტურისთვისაა უცხო.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Baldwin J., Sweet Lorraine, 1969, in Lorraine Hansberry in Her Own Words: To Be Young, Gifted and Black, adapted by Robert Nemiroff, New York: Vintage Books, 1995.
- Carpentier, M., Susan Glaspell: New Directions in Critical Inquiry, Cambridge Scholars Publishing, 2006.
- Carter, S., Commitment amid Complexity, 1980, p. 42.
- Newlin, K., American Plays of the New Woman, Chicago: Ivan Dee, 2000.

20TH CENTURY AMERICAN WOMEN PLAYWRIGHTS

Ana Kvinikadze

Keywords: *American Theater, Women Playwrights, Feminism, Politics, Women's Rights, Feminist Theater, Melodrama, Realism, Modernism, Expressionism, Feminist Drama, Ibsen, Glaspell, O'Neill, Crothers, Treadwell, Gerstenberg, Hellman, Hansberry, Ensler*

The development of professional American theater was hugely promoted by the Little Theater Movement, which emerged in the United States around 1912. Among the founders and supporters of Little Theaters were theater practitioners, playwrights, scenic designers, actors, poets, journalists, students, most of who were inspired by the European theater of that period. More specifically, they were interested in the ideas of the great German director Max Reinhardt, the techniques of organizing the stage space of Gordon Craig and Adolphe Appia, the staging methods of Théâtre-Libre in Paris, Freie Bühne in Berlin and Moscow Art Theater. The Little Theater Movement served to create experimental centers for performing art, whose activities were to counterbalance the commercial theaters that dominated America at the time. Ultimately, their values influenced commercial theater. In this process, one of the most important figures was American female playwright Susan Glaspell.

The Little Theater Movement is generally known for one of its earliest theater companies, Provincetown Players. Experimental Theater Company was founded by American playwright, novelist and actress Susan Glaspell (together with her husband, George Cram Cook), who also happens to be a feminist writer and the first major American female playwright.[1] The company's founding has been called "the most important innovative moment in American theater"[2], since their performances stimulated the formation of the first experimental drama in the United States. This is where Eugene O'Neill, one of the leading figures in American drama, began his career. In 1916 Provincetown Players introduced his first play "Bound East for Cardiff", which guided American theater into the Modern era. Along with Eugene O'Neill, Susan Glaspell was the one who wrote avant-garde modernist plays under the influence of Expressionism, while Realism has been a major trend in American theater throughout most of the 20th century. Susan Glaspell paved the way for O'Neill's great experiments, which later gave birth to American drama. In 1915-22, Glaspell's work in the little theater Provincetown Players was crucial to the development of American theater. In addition, her short stories and novels, similar to plays, were related to the main literary movements and active political events of that period. Although her name is often heard along with her spouse, George Cram Cook, she autonomously appears to be an important and influential figure in American theater history. The fact that her one-act play Trifles (1916) is often cited as one of the greatest works of American theater is just one proof to strengthen the opinion expressed. I will conclude the talk about the role of Susan Glaspell in the American theater with a quote from the British theater director Sam Walters: "In 1996... I felt we had rediscovered a really important writer. Now, whenever I talk to American students, which I do quite often, I try my 'Glaspell test'. I simply ask them if they have heard of her, and almost always none of them has. Then I mention Trifles, and some realize they have heard of that much-anthologized short play. So even in her own country, she is shamefully neglected. And when I type Glaspell on my computer it always wants to change it to Gaskell".

The second significant American woman playwright I want to talk about is Rachel Crothers, who among theater historians is generally recognized as "the most suc-

1 For her play Alison's House (1930), she was awarded the Pulitzer Prize in 1931.
2 Carpentier, Susan Glaspell: New Directions in Critical Inquiry, 2006.

cessful and prolific woman dramatist writing in the first part of the twentieth century".[3] Like Susan Glaspell, her plays often dealt with feminist themes and social issues. The first recognition was given to Rachel Crothers in 1906 when her first full-length play, The Three of Us, was produced at the Madison Square Theater in New York City. The performance was presented 277 times, which was a great success in that period. From that time on, through the 1940s, Crothers was a primary name in the Broadway theater world. She managed to make her plays on the one hand commercial and at the same time not to lose its social intensity. Although little is known today about Rachel Crothers' personal life and work, she was one of the most famous women in American theater in the first half of the twentieth century.

When we talk about American women playwrights of the first half of the 20th century, it is impossible to ignore Sophie Treadwell, whose famous play Machinal (1928) is often included in drama anthologies as an example of an expressionist or modernist play. The play deals with the themes of women's freedom in the 1920s. It is believed by theater historians that, along with Susan Glaspell, Sophie Treadwell led American theater from the old-fashioned melodrama to the experiments of great European playwrights such as Ibsen, Strindberg, and Shaw.

Alice Gerstenberg is another interesting name in American drama. She, like her modern female playwrights, was known for her experimental, feminist dramaturgy. Besides, she was an actress and an active member of the Little Theater Movement in Chicago. Most of Alice Gerstenberg's plays feature feminist tendencies - criticizing the social roles and decisions that discriminated against women at that time. It can be said that in the first half of the 20th century, the American women playwrights we mentioned above not only introduced feminist discourse into American theater but also changed the dominant masculine political order, paving the way for the next generation of women playwrights, who, like their predecessors, brought significant changes in American theater and drama.

We continue our talks with Lillian Hellman, one of the most famous American women writers of the 20th century. Lillian Hellman was one of the most successful playwrights of her time. She was the first female playwright to be recognized as a member of the American Playwrights' Club. The mentioned club until then was composed only of men. The reason for this was two incredibly successful plays written by Hellman in the 1930s: The Children's Hour (1934) and The Little Foxes (1939).[4] Lillian Hellmann's early, socially-oriented plays considerably contributed to the development of American theater in the 1930s. Hellman's dramaturgy includes themes of gender identity, such as the homosexuality of men and women. Her play Children's Hour caused a big stir as it was released, which made the 29-year-old author famous worldwide. Hellman wrote this „lesbian play" in the style of Ibsen's psychological realism, which became a real challenge for society. The play was banned in Chicago and Boston, as well as in London. It was even considered too scandalous for the Pulitzer Prize, which caused great displeasure among New York theater critics. Despite many controversies, the play was a huge success on Broadway for two years. Later, Lillian Hellmann began writing memoirs. The most popular among them was her autobiography An Unfinished Woman: A Memoir, which narrated her social, political and artistic life. After three decades of great success in theater, Lillian Hellman was later recognized as a person who make-ready America's three greatest playwrights: Arthur Miller, Tennessee Williams, and Edward Albee.

Before we move on to the next author, it should be noted very briefly that the vast majority of the female authors mentioned above were activists who fought discrimination and violence with their work. Lorraine Hansberry—the first African-American female author to have a play performed on Broadway—is one of them. She is best known for her play A Raisin in the Sun (1959), which highlights the lives of Black Americans living under racial discrimination in Chicago. At the age of 29, she won the New York Drama Critics' Circle Award, making her the first African-American dramatist, the fifth woman, and the youngest playwright to do so.[5] James Baldwin, a black rights activist and one of the most important writers of the 20th century, wrote: "What is relevant here is

3 Newlin, American Plays of the New Woman, 2000, p. 8.
4 The Little Foxes is considered a classic of 20th-century drama.
5 Carter, Commitment amid Complexity, 1980, p. 42.

that I had never in my life seen so many black people in the theater. And the reason was that never before, in the entire history of the American theater, had so much of the truth of black people's lives been seen on the stage. Black people ignored the theater because the theater had always ignored them."[6] Hansberry's' success later paved the way for many writers and artists of color. In her work, Lorraine Hansberry explored the themes of sexuality and gender identity, along with racial discrimination and colonialism. It can be said that she devoted her entire life and work to activism with a strong desire for social justice.

Since the 20th century there have been many other important and successful names in American theater and drama, including Maria Irene Fornes, Paula Vogel, Suzan-Lori Parks, Eve Ensler, etc. In this short review, it becomes apparent that the history of American theater has been actively shaped by women as well, but their names today are unfairly forgotten. This, in turn, unequivocally leads to the problem of gender, which does not seem to be unknown to American theatrical culture either.

REFERENCES:

1. Carpentier, M., Susan Glaspell: New Directions in Critical Inquiry, Cambridge Scholars Publishing, 2006.
2. Carter, S., Commitment amid Complexity, 1980, p. 42.
3. Newlin, K., American Plays of the New Woman, Chicago: Ivan Dee, 2000.
4. Baldwin J., Sweet Lorraine, 1969, in Lorraine Hansberry in Her Own Words: To Be Young, Gifted and Black, adapted by Robert Nemiroff, New York: Vintage Books, 1995.

6 Baldwin, Sweet Lorraine, 1969.